**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ტფილისი, 10 თებერვალი

ამას წინად მოვიხსენეთ, რომ რუსეთის საკრედიტო დაწესებულებათა შორის სახელმწიფო ბანკს უფრო დიდი ნდობა აქვს და ამიტომ ის უფრო იზიდავს ფულს მკვიდრისაგან, რომელსაც-კი თავის მონაგარისათვის უზრუნველი ბინა და შესანახი ადგილები ეჭირვება. ამიტომ სახელმწიფო ბანკს შეჰყურებს ყველა, როგორც დიდის ფულის პატრონი, ისე იმისთანებიც, ვინც ორიოდე გროშის შენახვასა და გადადებას ახერხებს შავის დღისათვის.

ამ გვარად ამ ბანკის ხელში გროვდება სხვა-და-სხვა კუთხიდამ ის ნაღდი ფული, რომელიც ერთად-ერთი წყაროა კრედიტისა, ერთად-ერთი წყაროა ფულის სესხებისა იმათთვის, ვისაც-კი უჭირს ეს ფული სხვა-და-სხვა საქმის წარმოებისათვის.

წესდების თანხმად, „სახელმწიფო ბანკი დაარსებულია ვაჭრობის ასაღორძინებლად, ფულისა და საკრედიტო სისტემის განსაკარგებლად“ (მუხლი 1.). უნდა ვსთქვათ, რომ კრედიტი საჭიროა აგრედვე წარმოების ასაღორძინებლადაც; წარმოებაა სიმდიდრის წყარო და არა ვაჭრობა. ამიტომ საკრედიტო სისტემის განკარგებასაც უფრო ის აზრი აქვს, რომ მწარმოებელს ხელი შეუწყოს ბანკმა, მისცეს ღონისძიება ხელის მოსაცვლელის ფულის იაფად შოვნისა.

ამ უმთავრესის დანიშნულების შესასრულებლად საჭიროა, რომ ყოველს მწარმოებელს ხელი მიუწვდებოდეს საკრედიტო დაწესებულებამდე, ყოველს მწარმოებელს შეეძლოს ხელის-გამართვა. სახელმწიფო ბანკის მიერ ერთად თავმოყრილი და მკვიდრთაგან მოგროვებული ფული უნდა თანაბრად იყოს მოფენილი მთელს ქვეყანაში იმათ შორის, ვისაც ფული ეჭირვება რომლისამე სასარგებლო და საჭირო წარმოების გასაძლიერებლად.

ვივარაუდოთ, აბა, როდის რამდენი ფული, შესანახად მიბარებული, ჰქონდა ბანკს, რომელსაც უნდა შეესრულებინა, ზემოხსენებული დანიშნულება მწარმოებელთა ხელის გამართვისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1877 წელს ჰქონდა | 254 | მილ. | მან. |
| 1882 „ „ | 376 | „ | „ |
| 1887 „ „ | 363 | „ | „ |
| 1892 „ „ | 430 | „ | „ |

როგორცა სჩანს, ამ 15 წლის განმავლობაში ბანკში მიბარებულს და დაბინავებულს ფულს უმატნია თითქმის ერთი-ორად. გარდა ამისა ბანკს აქვს სხვა წყაროებიც ნაღდის ფულისა, მაგალითებრ 1892 წ. ჰქონდა 29 მილიონი საკუთარი თავნი და დიდ-ძალი თანხა ქაღალდის ფულისა. ამოდენა ფულიდგან, რომელიც უნდა მოჰხმარებოდა იაფის კრედიტის გავრცელებას, როგორც გვაუწყებს გაზეთი «Рус. Вѣд.», მრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენელთათვის უსესხებიათ:

1877 წელს 180 მილიონი მან. (ანუ 71% ნაღდისა), 1882 წელს 229 მილ. მან. (ანუ 61%), 1887 წ. 240 მილ. მან. (64%), 1892 წ. 156 მილ. მან. (36%).

ამ ციფრებიდგან ცხადათა სჩანს, რომ სახელმწიფო ბანკი 15 წლის განმავლობაში უფრო იმასა ცდილა, რომ, რაც შეიძლება, ნაკლები ფული გაეცა სესხად ვაჭრობისა და მრეწველობის წარსამატებლად. ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა წარმოებისათვის, რომ ფულის მიზიდვით კერძო დაწესებულებათაც ხელს უშლის რუსეთში რიგიანად მოაწყონ კრედიტის საქმე და მით თითქო განგებ უძნელებს და უძვირებს ფულის შოვნას იმას, ვისაც უჭირს. გარდა ამისა, ის ფული, რაც ამ ჟამად სახელმწიფო ბანკიდამ მიდის სესხად ვაჭრობისა და მრეწველობის ასაღორძინებლად, სულ ერთიანად ხელში უვარდებათ მარტო მდიდარ წარმომადგენელთ, როგორც ვაჭრობისას, ისე მრეწველობისას. არა თუ ღარიბი, ანუ მცირე თანხის პატრონი ვაჭარნი და მწარმოებელნი ხელს ვერ იმართავენ სახელმწიფო ბანკის კრედიტით, არამედ შუათანა სიმდიდრის ხალხისათვისაც სახელმწიფო ბანკის კრედიტი არ არსებობს. ის ბედნიერი, რომელიც-კი ეღირსება ხოლმე სახელმწიფო ბანკიდგან ფულის აღებას სესხად, უსათუოდ დიდის ფულის პატრონთა დასისა უნდა იყოს. აი ამ გვარ კაცთა გაძლომასა და უფრო მეტად გამდიდრებაზედ მიდის ის ფული, რომელიც გროვდება გროშობით ბანკში ხელ-მოკლე და მომჭირნე კაცთაგან. თითქმის მთელი პროვინცია მარტო პეტერბურგისა და მოსკოვის მილიონერებს ემსახურება. ამ გვარ ჯიბე უბით სავსეთათვის ფულის საშოვნელად პეტერბურგის უმთავრეს სახელმწიფო ბანკს უსესხნია თავის საპროვინციო განყოფილებათაგან 1891 წ. 87 მილ. მან. და 1892 წ.—148 მილ. მან. ამ გვარად ნაღდი ფული, რომელიც აგრე საჭიროა წარმოების ასაღორძინებლად, მიიზიდება და გამალებული მიდის პეტერბურგს რუსეთის სახელმწიფოს ყოველ კუთხე და ყურედამ, ესე იგი, ფული მიდის იქიდამ, სადაც მწარმოებელი ათას გვარს გაჭირვებას ითმენს უფულობის გამო და იძულებულია ყოველ-გვარ ქვეყნის მყვლეფავს მიჰმართოს და მისგან სესხად აღებულს ფულში სარგებლად აძლიოს თითქმის ნახევარი თავის მონაგარისა და ნაწვავ ნადაგისა!..

ხელ-მოკლესა და გაჭირებულს კაცს ჩვენი სახელმწიფო ბანკი არც-კი კადრულობს, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, და აი ციფრებიც, რომელიც უფრო უკეთესად ამტკიცებს ამ გარემოებას.

მწარმოებელს, რაც შეიძლება, ახლო უნდა ჰქონდეს იმ გვარი ფულის წყარო, საიდგანაც შეეძლოს გაჭირებაში ხელი გაიმართოს. უამისოდ წარმოება იმ მხრივ, რა მხრივაც კრედიტზეა დამოკიდებული, ფეხს ვერ მოიმაგრებს, სიმდიდრეს იმ ზომით ვერ გაადიდებს, რა ზომითაც შესაძლოა და სასურველი. ამიტომ წარმოებისა და ვაჭრობის ასაღორძინებლად არა თუ ყველა პატარა ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც უნდა იყოს დამართული საკრედიტო დაწესებულებანი. იმოდენა ვრცელს ქვეყანაში-კი, როგორიც რუსეთია, სახელმწიფო ბანკს სულ 9 კანტორა აქვს და 81 განყოფილება. სახელმწიფო ბანკი თითქო განგებ ერიდება არა თუ სოფლებსა და სამაზრო ქალაქებს, არამედ თვით საგუბერნიო ქალაქებსაც-კი. პაწია გერმანიაში-კი სახელმწიფო ბანკს 232 განყოფილება აქვს, ავსტრი-ვენგრიაში—187...

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად ეხმარება ბანკი მრეწველობას ანუ ვაჭრობას, უნდა გავიგოთ, რამდენს ფულს აძლევს სესხად ყოველ წლივ ვექსილებით (учетъ векселей) და რა ფასისაა ეს ვექსილები. ამ მხრივ რომ შევხედოთ სახელმწიფო ბანკს, აი რა საგულისხმო ამბავსა ვნახავთ. 1890 წ. წარდგენილი იყო სახელმწიფო ბანკში მის განყოფილებათა და კანტორებში სულ 289,000 ვექსილი, ღირებული 237 მილ. მანათად; 1891 წ. 276,000 ვექსილი, 222 მილ. მანათისა. შუათანა ფასი ვექსილისა პირველ წელიწადს ყოფილა 820 მან., მეორეს 880 მ. გერმანიის სახელმწიფო ბანკში წარდგენილი ყოფილა 1891 წ., სულ 3.350,688 ვექსილი, ღირებული 5,531 მილიონი მარკად; შუათანა ფასი თვითოეულის ვექსილისა ყოფილა 1,300 მარკა, ანუ 750 მ. მაგრამ უფრო საუკეთესოდ ყოფილა მოწყობილი ეს საქმე საფრანგეთში, სადაც სახელმწიფო ბანკს 1891 წ. გაუცია 10,018 მილიონი ფრანკი 13.200,000 ვექსილით. შუათანა ფასი თვითოეულის ვექსილისა ყოფილა 750 ფრანკი (300 მან.); ორი მილიონი ვექსილი იმ ფასისაა წარდგენილი, რომ თვითოეულის ფასი 100 ფრანკზე ნაკლები ყოფილა. ამ რიცხვიდგან 20,000 ვექსილი იმისთანაა, რომლის ფასიც 10 ფრანკზე ნაკლები ყოფილა, ე. ი. 4—5 მან. აი როგორ აკმაყოფილებენ ევროპაში სახელმწიფო ბანკები ხელ-მოკლე და გაჭირებულ მწარმოებელთა და სულ მცირე საქმისა და ხელობის პატრონთ.

## ფელეტონი

### წერილი მეგობართან[1])

ძმაო მამუკავ!

აქამდის შენა მწერდი წერილებს და ახლა-კი ჩემი დროც მოვიდა. მგონია თორმეტი წერილი მომწერე გაზეთით, აშკარად, საქვეყნოდ; მწერდი, რაც გეწადა, იმას, ვინ იყო დამშლელი, მთქმელი, ნუ მწერ, შეიცოდე ქრისტიანი კაციო; გინდოდა ალიას მეძახდი, გინდოდა-მუსიას. ეხლა ჯერი ჩემზე მოდგა. მართალია, იაფად არ დამიჯდება გაზეთებში წერა, რადგანაც სამსახურის კაცი ვარ, მაგრამ ვბედავ და გწერ წერილს, თუნდა ხვალვე გამომიცხადონ და მითხრან: დასტოვე კანცელარია ესე და ილტვოდე ქვეყანათა ზედა, ვითარცა უბადრუკი. ეს წერილიც შენ და ჩემი ცოდოც. ვენაცვალე სამსახურს, ვიცი არ მომიძულებს ჩემი მთავრობა, არ დამღუპავს ამ ერთის წერილისათვის, შეიგნებს იგი, რომ წერილის მოწერა შენმა თავხედობამ მაიძულა; იქნება რომ ამ წერილმა უფრო წარმატებაშიც შემიყვანოს, такъ какъ я отстоялъ свою честь. ვერ მოგართვი, რომ მე სამსახურიდამ დამითხოვონ და შენსაებ გუდამშიერმა ვიტლიკინო ქვეყანაზედ.

ერთსა გკითხავ და ამაზე მიპასუხე: რა დანიშნულება აქვს კაცს ამ წუთი-სოფელში საზოგადოდ, строго судя, და კერძოდ ჩვენისთანა ნასწავლ კაცს ლოღიკურად, конечно? ჯერ ჭიანჭველა რა არის, ისიც-კი ზრუნავს თავის ყოფა-ცხოვრება მოაწყოს ხეირიანად, ჩვენ ხომ კაცები ვართ,— чувство, братъ, самосохраненія. დროებაა ასეთი, დროება, ჩემო მამუკავ, нужно приспособляться къ условіямъ жизни.

შენ შეგირდობაში ცეტ-მატი ბიჭი იყავი და მეგონა ცხოვრება მოგაჰკვიანებდა; ტყუილად მგონებია. მე იმ თავითვე ვიცოდი, შეგნებული მქონდა, რაი არს ცხოვრება და როგორ უნდა შეუფარდოს მას კაცმა თავი თვისი, რათა არ დაიღუპოს[2]) და კეთილად წარვლინოს გზანი ცხოვრებისანი. მამიჩემის, პატიოსან მღვდლის სოლომონის სულსა ვფიცავ, ეს მცნება თვით იმან მიანდერძა: „რაც გამოგადგეს, შვილო, იმაზე იფიქრე და იზრუნეო; ყველასთან იყავი თავ-მდაბალი, თავაზიანი ამითი რა წაგერთმევა, თუ არაფერი მოგეცემაო“. ხომ გახსოვს, მე და შენ „ნახლებნიკად“ ეფემიასთან რომ ვიდექით და ყველიერში, თითქო პირობა მიეცესთო, მამაჩემი და მამაშენი ჩამოვიდნენ. მამაჩემმა ერთი ღორის ნასხეპი და კაი მოზდილი ტიკი ჩამოიტანა ღვინით, ხოლო მამაშენმა ერთი ტიკჭორა სულადის არაყი და ერთი ცხვარი თავის დუმიანად. კაი დროებაც გავატარეთ, ჩვენს მამებს ბაასიც მოუვიდათ; მამაჩემი მე მარიგებდა ზემოხსენებულის დარიგებით, ხოლო მამაშენი არ ეთანხმებოდა: „არა მარტო პურითა სცხონდების კაციო“, იძახოდა, და აკი ისე გადაიცვალა სამოც-და-ათი წლის მღვდელი, რომ „ბედენიკიც“ ვერ მიიღო. ხე ძირზე მოდის, რაც მამაშენს უნდოდა გამოსულიყავ, ის გამოხველ, აბაზი არ გიჭყავის ჯიბეში, რომ მღვდელს აწირვინო, მოახსენებინო

[1]) „ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ ჩემი წერილები ექვთიმესთან. აქამდის არა კადრულობდა პასუხის მოწერას ჩემი მეგობარი. ეხლა-კი უკადრია და მოუწერია პასუხი. ამ პასუხის დედა-აზრი არ შეგვიცვლია, მხოლოდ ენა შევასწორეთ, რამდენადაც მოვახერხეთ. ნამეტნავად საქმე გაგვიჭირა რუსულმა ფრაზებმა, რის გამოც მრავალი თმაქანი „ალიხოცა“ წერილიდამ.

რედ. გამომც. მამუკა

[2]) ჩემი მტერი დაიღუპოს, შენ დაღუპული და უბედური ვიც-და ჰყოფილხარ.

ასოთ-ამწყობი

მაგრამ იქნება მკითხველმა იკითხოს, მაშ სადა აქვს დაბინავებული ჩვენს სახელმწიფო ბანკს, ან რას აკეთებს დანარჩენი ფული, ის აუარებელი მილიონები, რომელიც ჰგროვდება მის ხელში? ამის პასუხად უნდა ვსთქვათ, რომ იმ დანარჩენ ფულით ჩვენი საფინანსო მმართველობა ოქროსა და ვერცხლისა ჰყიდულობდა, ინახავდა საზღვარ-გარედ იქაურს ბანკებში და სცდილობდა აემაღლებინა დამცირებული კურსი რუსეთის ქაღალდების შესყიდვით, როცა მათი ფასი დაეცემოდა ხოლმე. ასეთი იყო ის საფინანსო პოლიტიკა ვიშნეგრადსკისა, რომელიც ძალიან ნაკლებად ზრუნავდა ჩვენის მრეწველობა-წარმოებისათვის.

ნიკ. კაკასიძე

# ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 10 თებერვალს, დილა ადრიან მოაწყდა ტფილისის გამგეობის კარებს დიდ ძალი ღარიბი ხალხი, მომეტებულ ნაწილად დედაკაცები, შეწირულებათა მისაღებად. საშინელი ჟრიამული იდგა გამგეობის წინ მოედანზედ და მეტადრე გამგეობის ეზოში. ყველა ცდილობდა წინ წასულიყო, რომ ადრე მიეღო დანიშნული შემწეობა ორიდგან ხუთ მანეთამდე. ცხრა საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში შეიკრიბა აღმასრულებელი კომისია, ბ ნ ა. ი. ბაქრაძის თავმჯდომარეობით. რადგან ხალხი ბლომად იყო და არ მოხერხდებოდა თითო ადამიანის გამოძახება, ამის გამო თავმჯდომარემ სთხოვა, რომ სხვა-და-სხვა პოლიციის განყოფილების მცხოვრებნი ცალ-ცალკე დამდგარიყვნენ და რიგ-რიგად გამოსულიყვნენ მოწვევის კვალობაზედ. ღარიბთა შორის მომეტებული ნაწილი ავლაბრიდგან იყო. ამის გამო კომისიამ სთხოვა სხვა უბნის ხალხს განზედ გასულიყვნენ. დიდის ხნის შემდეგ, როგორც იყო, წესიერება ჩამოვარდა და შეუდგნენ ავლაბრელების გამოძახებას ალფაბეტურ სიებით. ორ საათამდე კომისია მარტო ავლაბრელებს მოუნდა, მაგრამ მაინც ყველანი ვერ დააკმაყოფილა. დანარჩენთ დაურიგებენ მოწყალებას 11 თებერვალს.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, სათავად-აზნაურო ბანკმა სთხოვა ქალაქის გამგეობას—ნება მომეცი ელექტრონი გავიყვანო ერევნის მოედნისა და ფრეილინის ქუჩის სახლებშიო. გამგეობამ თავის მხრივ გადასწყვიტა—მიეცეს ბანკს ნათხოვნი ნება იმ პირობით-კი, რომ სადაც ბანკის მავთულები გაივლის, იქ რამდენიმე ელექტრონის ფარანი დადგას ქუჩის გასანათებლად უსასყიდლოდაო, რომ ამ სახით ქალაქსაც რამ წილი დაედოს იმ მოგებაში, რომელსაც ბანკი ჰნახავს ელექტრონის გაყვანითაო. ბანკმა ამის შესახებ შეატყობინა გამგეობას, რომ ელექტრონის გაყვანა არა თუ მოგებას, პირ-იქით ზარალს აძლევს ბანკის კასსას და ამიტომ მუქთად ვერ გავანათებ ქუჩას ფარნებითაო. 9 თებერვალს ქალაქის გამგეობამ განიხილა პასუხი ბანკისა და დაადგინა, რადგანაც ჩვენი პირობა უარჰყო ბანკმა, ამის გამო ვერ მიეცემა ნება ელექტრონით განათება ნათხოვნ ადგილებისაო დ 1 მარტამდე უნდა აჰყაროს ის მავთულებიც, რომელიც ბანკმა გაიყვანა, გამგეობის ნება დაურთველად, მირზოევთა სახლში და თამამშოვთა ქარვასლაშიო; ხოლო რაიცა შეეხება მავთულს, რომელიც გაყვანილია სარაჯოვისა და ლალაევის სახლებში, ეს მავთულები დარჩეს ხელუხლებელი იმ პირობით-კი, რომ გამგეობის პირველსავე განკარგულების უმალ ეს მავთულებიც აღებულ იქმნასო. ეს გარდაწყვეტილება გამგეობისა უკვე გაეგზავნა სათავად-აზნაურო ბანკს.

*** 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა.

*** მკითხველთ ეცოდინებათ, რომ ტფილისში არსებობს ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება. აქამდე ამ საზოგადოებას ზარალი არა ჰქონია, რადგანაც მხოლოდ რამდენიმე დაზღვეული სახლი მცირედ დაშავდა ცეცხლისაგან. 3 თებერვალს მუშტაიდის ვიწრო ქუჩაში ცეცხლი წაეკიდა ჩითახოვის შენობას და ძლიერ დაშავდა. დამზღვევ საზოგადოებას ჩითახოვმა მიჰმართა და სთხოვა 3,500 მანათი. საზოგადოების მმართველობამ მიიწვია ზედამხედველი კომიტეტი 10 თებერვალისთვის. კომიტეტმა უნდა განიხილოს ეს საქმე და გადასწყვიტოს, მიეცეს თუ არა ჩითახოვს 3,500 მანათი.

*** ბორჩალოს მაზრაში ქოთაო (ცხენის ავადმყოფობა) გაჩნდა. სენის მოსასპობად საგუბერნიო სამკურნალოს განყოფილება უკვე ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობს.

*** 8 თებერვალს ტფილისის კრუჟოკში გამართა ბალი, რომლის დროსაც ორი უსიამოვნო ამბავი მოხდა. ბალზე დამსწრე საზოგადოება ძლიერ შეაშინა მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ბ-მა ხარკოვმა, რომელსაც ბალის დროს გული წაუვიდა და ძლივს მოაბრუნეს. მკურნალებმა შეამოწმეს, რომ ხარკოვს ბნედა (эпилепсія) სჭირებია.

მეორე ამბავი შემდეგია: ქ-მა ა—მ იყიდა იქვე გამართულ ლატარეია-ალეგრის რამდენიმე ბილეთი. ერთს ბილეთს ვერცხლის სამოვარი ერგო. ქ-მა ა—მ ეს ბილეთი ერთს კაცს გვარად ს—ოვს გადასცა და სთხოვა, სამოვარი მომიტანეო. ბ-ნმა ს—მ ბილეთი გამოართვა და ბუფეტში გასწია. როცა ს—ოვს ჰკითხეს, სამოვარი რა უყავიო, მკაცრად უპასუხა, სამოვარი მე მოვიგე და მევე მეკუთვნისო. ეჭვი არ არის, რომ ეს საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან გათავდება.

*** გორიდამ გვატყობინებენ, რომ ჩვენი თანამშრომელი., ნიჭიერი ბელეტრისტი ნ. ლომოური ფილტვების ანთებით არის ავადა; ამ დღეებში ანთებამ უკლო და იმედია, კარგად შეიქნებაო.

*** იმერეთიდან ჩამოსულებმა გვაცნობეს, რომ იქითკენაც წლეულს ავი ზამთარი ყოფილა და არის ეხლაც; უფრო იმერეთის მაღლობ ალაგას გაშენებულ სოფლებში საშინელი დიდი თოვლიანობაა ახლა; საჩხერეში ერთ-ალაბ-ნახევარი თოვლი ძევს და სიარული ძალიან გასაჭირია, ფოსტას ორ-კვირაში ერთხელ ძლივ-ძლივობით ღებულობენ და გაზეთების ამბებს ერთ თვის წინანდელს ახლა კითხულობენ, ლაზათიანად ბუხრების წინ შემომსხდარნი.

*** ქუთაისში ყელ-ჭირვება ძლიერ მძვინვარებს. ამ დღეებში უმსხვერპლია სავაჟო გიმნაზიის მეექვსე კლასის დიდად ნიჭიერი მოსწავლე აბრამიშვილი, რომლის დასაფლავებას ყველა ამხანაგები დასწრებია და გვირგვინებით შეუმკიათ უბედურის ახალგაზდას კუბო... აბრამიშვილი ქუთაისის გიმნაზიის დამამშვენებელი იყოვო და დიდს იმედს იძლეოდა მომავალისათვის—როგორც მისი ნაცნობნი, ამხანაგნი და მასწავლებელნი ერთხმად და ერთპირად აღიარებენ.

*** სოფ. ზაკურცახე (სიღნაღის მაზრა): დღითი დღე ქურდობა და ავაზაკობა მატულობს. ამ ზამთარს ისე ღამე არ გავა, რომ არა დაიკარგოს-რა სოფელში. ისე წაქეზდნენ შინაური ქურდები, რო დღისითაც-კი ღარავის ეპუებიან. ამ ერთის კვირის წინად „პრიგოვორის“ შედგენის დროს სოფლის ყრილობამ დაასახელა სამოცამდის საეჭვო კაცი. სოფელს უნდა გასწეროდა ას-ორმოც-და-ათ თუმნამდის სხვა-და-სხვა დანაკარგის საზღაურად, მაგრამ, რადგანაც ამ მოკლე ხანში ამოდენა საზღაურის გადახდა ძრიელ საძნელო იქმნებოდა, სოფელმა ვადა ითხოვა, ეგებ ნამდვილი ქურდები როგორმე აღმოვაჩინოთო. სულ დაიღუპება სოფელი, თუ მართლა ამოდენა ფული გარდახდა.

*** სოფ. კაბალა (სიღნაღის მაზრა): ამ თთვის 22-ს ერთს აქაურს ჩაფარს გასცოფებია ცხენი და ჯერ თავისი პატრონი დაუგლეჯნია, შემდეგ ერთი თათარი და კიდევ ორნი ძმანი თ. ვ-ძები, სოფ. ზაკურციხელები, რომლებიც აქ იყვნენ იმ ჟამად. ცხენი იმ დღესვე მომკვდარა; დაკბენილები-კი დარჩომილან უპატრონოდ. შემდეგ დაუბარებიათ ერთი კარდენახელი გლეხი, რომელმაც იცის თურმე ცოფის წამალი და კვლავაც მრავალი მოურჩენია. ღმერთმა ბძანოს და ამ ჩვენებურმა ექიმმა გაიმარჯვოს, მაგრამ ბევრად უკეთესი იქმნებოდა, ეხლავე პირდაპირ ქ. ტფილისს გაეგზავნათ საცოდავები, სადაც ცნობილ მეცნიერის ლუი-პასტერის მიერ მოგონილ წამლით არჩენენ ამ გვარ ავად-მყოფთ.

*** სოფ. ვეჯინი (სიღნაღის მაზრა): ამისთანა დიდი და ხანგრძლივი ზამთარი ჩვენს მაზრაში თითქმის არავის ახსოვს. წარსულის თთვის დეკემბრის 20-იდგან დღევანდლამდე აუღებლივ თოვლი სძევს. თანდათან თუმცა დნებოდა, მაგრამ უფრო მეტი ემატებოდა. ამ ექვსის დღის წინად $1\frac{1}{4}$ არშინის სიმაღლეზედ დასდო თოვლი და ღამ-ღამოებითაც საშინლად ჰყინავს. ამ ზამთარმა ბევრი ზარალი მოსცა ჩვენს მაზრას. კაცი გარედ ველარ გამოსულა. ერთს გლეხს, ს-შვილს, თავზედ დაენგრა სახლი და შიგ მოჰყვა სამი სული; ერთი, როგორც იყო, ცოცხალ-მკვდარი ამოათრიეს, მაგრამ ორიკი დაიღუპა. ჩვენი მემამულეები შიშობენ, ასეთმა სიცივემ ვაი თუ ვაზებსაც დიდი ზარალი მისცესო.

*** გორი: ამ თებერვლის 2-ს ჩვენს ქალაქში იყო რუსული წარმოდგენა გორის დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ; ჰსურდათ ქართული პიესაც მიემატებინათ, რომ უფრო ბევრი ხალხი დასწრობოდა, მაგრამ ვერ მოასწრეს მომზადება. ამ დიდ-მარხვაში რამდენისამე ქართულ-რუსულის წარმოდგენის გამართვას ეპირებიან, თუ ნება-რთვა აიღეს.

*** ქართლი: წლევანდელისთანა ზამთარი დიდი ხანია არა ყოფილა; განუწყვეტლად თოვს და ჰყინავს; აგერ თებერვალი დადგა, მაგრამ იოტის ოდენა სითბო ვერ ვიგრძენით; დიდს თოვლს არ შევუშინდებით, მაგრამ ღამე ჭირხლს ჰკიდებს ხეხილს და ვაზებს; მოსალოდნელია, რომ ჭირხლმა ვაზი დააზარალოს და ხეხილიც; პირუტყვი საქონელი ძრიელ შეწუხებულია, განსაკუთრებით ცხვარი, რომელიც ძალიან იხოცება. სოფლად გავრცელებულია ინფლუენციის გვარი ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენ სუსდო-ხველას ვეძახით, ამას გარდა ფილტვის ანთებითაც ბევრნი ხდებიან ავად.

*** ბათუმი: 30-ს იანვარს აქ ქართულის სცენის მოყვარულებმა არტისტის ვასილ აბაშიძის მონაწილეობით გამართეს წარმოდგენა, როგორც უკვე მოხსენებული იყო „ივერიაში“, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“. თუმცა ხარჯი ბევრი იყო, რადგან ასი მანეთი თეატრის დაქირავებას მოუნდა და ასიც ბ-ნ აბაშიძეს გარჯის ფასად, დანარჩენ წვრილმან ხარჯს გარდა, ნაღდი შემოსავალი მაინც ორას მანეთზე მეტი დარჩა. წარმოადგინეს გრ. ვოლსკის მიერ. გადმოქართულებული ვოდევილი „დათვი“ და თავ. რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული პიესა: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა. კაი ხანია ბათუმში ასეთი მხიარული და უნაკლულო წარმოდგენა არა ყოფილა. ვ. აბაშიძეს გარდა, რომელიც შეუდარებელი იყო მოხუც სომხის როლში, თავი გამოიჩინეს მოხდენილის და არტისტულის თამაშობით ქ-ნ სო-

---

მშობელი. დაგინიჟია „ქვეყანა, ქვეყანას ვარგოვო“. არ ვიცი, რომელმა გლეხმა და თავადმა მოგიტანა შინ ურმით პური და ღვინო, ჩვენთვისა ჰზრუნავ და მიირთვიო. თავი მოგწონს იმითი, ქართულად ვსწერ, ქართული მწერალი ვარო, что такое Грузія? Что такое грузинская литература[3])?!

მანგრე ქვეყანას ერთი კაცი სად გასწვდება და ქვეყანას-კი შეუძლიან ერთი კაცი დაარჩინოს. განა ურიგო იქნებოდა ყველას ჩემსავით საშუალება ჰქონდეს? მაშინ ხომ მთელი ქვეყანა ბედნიერი იქნებოდა (ე. ი. მთელი ქვეყანა ერთი სრული კანცელარია შეიქნებოდა და მისი მცხოვრებნი—„ჩინოვნიკები“), როგორრათაც ღმერთის მოწყალებით მე ვარ დღეს ბედნიერი. ვინც არ არის ბედნიერი ცხოვრებაში, იმან თავის თავს აბრალოს, რადგანაც არა ჰქონია შნო ცხოვრებისა, უნარი შეფარდებისა. ან ჩემი რა ბრალია, ან შენი, ანუ თუ სხვისა?! ასე იფიქრე, ასე, ჩემო გზა-დაკარგულო მეგობარო! აი ამიტომ ვიკლავ თავს „პროტოკოლების“ წერაში, შენ რომ მიკიჟინებ და არ მოგწონს ჩემი ქცევა; მე გულს ვხედავ ცხოვრებისას, ყოველ მის შიგნეულობას, და შენ-კი მხოლოდ ქერქს, გარეთა კანს. ვითომ შენ როგორ გგონია, „პროტოკოლებს“ არაფერი მნიშვნელობა აქვსთ, არავითარი ძალა? „პროტოკოლები“ რომ არ იყოს, იქნება, შენც არ იყო, დამერწმუნე, და მთელი ქვეყანაც. „პროტოკოლებზეა“ დაფუძნებული, იმითი ჰსუნთქავს და სცოცხლობს все наше царство, православное Государство. Глубже, голубчикъ, смотри на вещи, глубже![4]).

შენ შენს ჭკუაში მე კაცად არა მთვლი და არ იცი-კი, რომ მთელი ქვეყანა მაფასებს. აბა თუ არა გჯერა, ალბომი გასინჯე, სადაც დიდებულ კაცთა შორის დაინახავ შენგან შეჩვენებულის მეგობრის ექვთიმეს სურათს ამ სათაურით: „საქართველოს მოღვაწე“. დიაღ, ნახავ ჩემს სურათს იქ, სადაც სახეა ნაპოლეონ ბონოპარტესი, ჩვენის ერეკლესი და სხვა დიდებულ კაცთა. მაშასადამე, თუ ჩემსაებრ გაფასებდეს ქვეყანა, შენც, როგორც მე, იქნებოდი გამოჭიმული ალბომებსა და სურათებიან წიგნებში. აი ამიტომ მე ნება მაქვს ვიმღერო შემდეგი სიმღერა:

Вѣкъ юный, прелестный,
Другъ мой, пролетитъ,
И все поднебесной
Измѣной грозитъ!
Лети стрѣлой,
Нашъ вѣкъ младой,
Какъ сладкій сонъ
Минуетъ онъ!
Лови, лови
Часы любви,
Пока огонь
Горитъ въ крови! და სხვ. და სხვ.

შენ-კი, ჩემო მამუკავ, სრულიად სხვა უნდა იმღერო. შენთვის ეს ლექსი შემომიწირავს:—

Уймитесь волненія страсти,
Засни безнадежное се-ердце!
Я пла-ачу, я стра-ажду
Безъ чаю и хлѣба!
Уймитесь, и голодъ, и жажда!
Засни безнадежный желудокъ!
Я пла-ачу, я стра-ажду
Безъ чаю и хлѣба!
Я пла-ачу, я стра-ажду:
Карапетъ не вѣритъ мнѣ въ долгъ!

ჯერ-ჯერობით ესეც გეყოფა და შემდეგში უარესს მათრახს მოელოდე ჩემგან, თუ ჩხირ-კედელაობას თავი არ დაანებე. გთხოვ, აზრი არ დაამახინჯო, ან ადგილები, რომელიც უფრო შესანიშნავია, არ ამოჰფხიკო[5]) და ისე არ დაჰბეჭდო ჩემი წერილი.

შენი კეთილის მოსურნე ექვთიმე

---

[3]) შხამად ამოგვეგოს, რაც შენ საქართველოს ნიადაგზე მოსული პური და ღვინო შაგეთლანგოს და ქართული «მრავალჟამიერი» გეჩხავლოს!

ასოთ-ამწყობი

[5]) თვითონ არის დაჩვეული ამოფხეკას და ჩემიც ისე ჰგონია დალოცვილიშვილს.

რედ. გამ. მამუკა

დოროვისამ და ანჯაფარიძისამ. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნ ხარაზიშვილი და ბ-ნ ღვამიჩავა, მეტადრე პირველი. დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც ზემოხსენებულნი მოყვარულნი, რომელთაც არ დაიშურეს სამადლო საქმისთვის შრომა, გარჯა და თავისისს ქვიანურის თამაშობით ასიამოვნეს საზოგადოება, აგრეთვე ამ წარმოდგენის გამმართველნი დამოთავენიც. იმედია, რომ კვლავაც არ დაიშურებენ ესენი თავიანთ შრომას ჩვენის საზოგადო საქმის წარსამატებლად.

*** გაზეთ „Н. О.“-ს შეუტყვია, რომ ოზურგეთის საპატიმროდგან გაქცეული პატიმარი შავიშვილი 6 თებერვალს შეიპყრეს და ისევ ოზურგეთის ციხეში დაამწყვდიეს.

---

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

საკვირველი ხასიათი დასჩემდათ ტფილისის რუსულ გაზეთებს. ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებიან—აცა ვინ უფრო მარჯვედ აუქცევს მხარს კავკასიის და კავკასიელთა გაჭირვებას, ვინ უფრო შორეულს ამბებს წაატანს ხელს, ისეთს ამბებს, რომელიც არც გულს მოჰხვდება კავკასიელისას, არც სულს, არც მაჯას, და რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ამ ქვეყნის ავ-კარგიანობასთან.

უნდა მართალი სთქვას კაცმა, ეს მეცადინეობა მუქთად არ უვლით რუსულ მეგაზეთეებს. იგინი ეხლა ისე დახელოვდნენ, რომ დღეში თითო გაზეთის მაგიერ სამ-სამსაც დაჰბეჭდენ, თუ-კი შეძლება ექმნებათ, და ამ გაზეთებში კავკასიის შესახებ მხოლოდ თვალის ახახვევად მოჰყვება თითო-ოროლა ჩვენებური ამბავიც, რომლის თავი და ბოლო წინადვე იციან და ამიტომ შეგიძლიან სულაც არ წაიკითხო...

გიკვირს და ვერ გაგიგია, რა აზრი აქვს ამისთანა გაზეთს ქვეყნისთვის და ან რად იბეჭდება სწორედ ტფილისში, რატომ ეს გაზეთები არ გამოდის გინდა თვით არშიყთ მფარველს, „დალის გუშაგ“ მთვარეზედ? რა განსხვავებაა!..

ამავე დროს ტფილისში იბეჭდება ჟურნალ-გაზეთები ქართულსა და სომხურ ენებზედ. ამ გაზეთებს თავიანთი დარდი აქვთ, თავიანთი სული უდგათ, ფიქრობენ, ბჭობენ, იღვწიან ქვეყნის კეთილდღეობისათვის, შეძლებისა და გვარად ეჭიდებიან, ებრძვიან ადგილობრივს ბოროტებას და სინათლის შუქსა ჰფენენ გარემოცულს წყვდიადს ჩვენის ცხოვრებისას.

უნდა იცოდეთ, ახლა რა უცნაურის თვალით უყურებენ ზემოხსენებულ გაზეთების წარმომადგენელნი ამ მეცადინეობას ადგილობრივის ჟურნალ-გაზეთებისას. ვითომ დახარჯონ როდისმე და როგორმე ან ერთი სიტყვა თანაგრძნობისა? თქვენც არ მომიკვდეთ! ყველა მათგანი სულ იმის ფიქრში არის, აცა როგორ გავატრიალოთ ამათი წადილები და რამდენად ასაცილონი გამოვიყვანოთ რუსთა საზოგადოების თვალშიო. ჩვენებურმა გაზეთმა რომ სთქვას ჭეშმარიტება, რომელიც ისეთივე სიმართლეა, როგორც ორჯელ ორი ოთხია, მაშინათვე გამოტყვრება მოღვაწე რუსულ გაზეთისა და მასხარად შენვე აგიგდებს. კითხულობს ჩვენის ენის უვიცი საზოგადოება ამ მასხარაობას და სიცილითა სკდება—რა სულელი ხალხი ყოფილა ქართველი, სომეხი და სხვა ამათთანა განადირებული აზიელებიო. კარგია კიდევ, დროზედ მოვესწარით და კულტურა შემოვიტანეთ, თორემ რა ეშველებოდათ ამ უბედურებსაო, როდესაც ჯერ მოწინავე ხალხიც-კი, თვით მწერლებიც-კი ასეთი უსუსური და უმეცარი ბალღები ჰყოლიათო.

ასეთი ურთიერთობა დამყარდა ადგილობრივ მწერლობასა და რუსულ გაზეთებს შორის. იტყვიან რამე უხამსობას ეს უკანასკნელნი, ან აშკარა სიცრუეს, შეცოდომას. თავაზიანად და მოკრძალებით შეებმი ბაასში და ეტყვი—მაგაში შემცდარი ბძანდებითო, მაგრე-კი არა, აი ასე უნდა მეწყოს საქმეო. მაგრამ ვაი თქვენს გაბედულობას: ზურგზედ ბოლს აგადენენ და ტყავს გაგაძრობენ—როგორ თუ გაგვიბედეთ და შეცდომა გვიჩვენეთო! ჰაი, თქვე აზიელებო თქვენაო, სულ კუდით ქვას გასროლინებთო!.. მოგდგებიან, ბატონო, და, თავიანთის უმეცრებით გამხნევებულნი, თქვენვე გამოგიყვანენ მტყუანად წინაშე უცხო საზოგადოებისა, რომელსაც შენი არა გაეგება-რა. ეს კიდევ არაფერი. ადგება და მამაშვილურს დარიგებასაც მოგცემთ გამარჯვებული გაზეთი: გირჩევთო, რომ ამას იქით აღარ აჰყვეთ თქვენის ქვეყნის გულის თქმასაო, არამედ გაისარჯენით წინააღმდეგ ამ გულის თქმისა, თუ გინდათ, რომ ჩვენს სიმაღლემდე ამოგაცოცოთო.

მაგრამ რუსულ გაზეთების ამ გვარ საქციელს, დიდი ხანია, შევეჩვიენით. მრუდე კუდის გასწორებას, მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთი საშუალება აქვს. დეე, თვითონვე მიჰმართონ მაგ საშუალებას, ჩვენ სხვათა ცოდოში არ ჩავდგებით. მხოლოდ ვერ გაგვიგია, რად წაატანა ხელი ჩვენმავე გაზეთმა „კვალმა“ ისეთს საქმეს, რომელიც შეჰფერის ან განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს სასამართლოსას, ანუ თვითონ პროკურორს. დასწერა, ბატონო, ისტორიული წერილები ჩვენმა თანამშრომელმა, და ერთიც ვნახოთ, გაზეთმა „კვალმა“, რომელიც მოგვითხრობს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ქველ-მოქმედებითი წოდება იყო ჩვენს წარსულს ისტორიაშიო, და ამიტომ დიდი მცოდნე ჰგონია თავისი თავი ისტორიისა,—ჰო, ამ გაზეთმა, ნაცვლად საქმის განხილვისა, მოგვახალა კითხვა-კითხვაზედ: ეს ისე რადა გგონიათ და რატომ ასე არა ჰფიქრობთო, და სხვა ამისთანები. თანაც თითქო გვეუბნება—ჯერ ამ საკითხების პასუხი მოგვეცით და მერე ვნახავ, დაგიწყოთ პოლემიკა თუ არაო. გაგონილა ასეთი მწერლობა? მეორე ჩვენმა თანამშრომელმა დასწერა თავისი შეხედულობა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს წესი სწავლა-აღზდისა, და ერთს ყოფას გვაწევს გაზეთი „კვალი“: მაგას ერთი თანამშრომელი ამბობს და თვით რედაქცია რაღას იტყვისო? იქნება რედაქციას არც-კი აქვს რამ სათქმელი და იქნება აზრიც-კი არა შეუდგენია-რა სათავად-აზნაურო სკოლაზეო, რომელიც თავი და ბოლოა ჩვენის ქვეყნის არსებობისა, ერთადერთი ჩამბერავია ცხოვრების სულისაო, და სხვა, და სხვანი. საკვირველი მანერაა, თქვენმა მზემ.

პირველი ესა, რომ სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ „ივერიამ“ საკმარისად გამოარკვია თავისი აზრი, როდესაც იგი, „ივერია“, ჯერ ისევ ჟურნალი იყო. შემდეგ, როდესაც გაზეთად გარდაიქმნა, კვლავ კარგა ბლომად ილაპარაკა ამ საგნის შესახებ, და მუდამ დღე ერთსა და იმავეს ხომ ვერ გაიმეორებს! მეორეც, რა აზრი აქვს ამისთანა პროკურორობას, ასეთს სიმინისტრო „ზაპროსებს“, ინტერპელიაციებს გაზეთის ურთიერთობაში! არ მოგწონთ ჩვენი შეხედულება? ძალიან კარგი. თქვენი ბძანეთ, ბატონო, გაგვამტყუნეთ და დეე მკითხველმა ასწონ-დასწონოს თქვენიცა და ჩვენიც, ვნახოთ, ვისი უფრო სუბუქი გამოდგება და ხელიდგან გაეპარება, ვითარცა შარშანდელი თოვლი. მწერლობაში სხვა გზა ვინ გაიგონა!.. ალბად ახალი მოძღვრება თუ არის ყველა ესე...

გეგენაშვილი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 17-ს იანვარს. თელავის მცხოვრებნი, მაზრის უფროსის ბარათით მიწვეულნი, შეიყარნენ სათეატრო დარბაზში. მაზრის უფროსმა კრებას განუმარტა აუცილებლობა წარსულ ყრილობაზე მოხსენებულ საკითხების გარდაწყვეტისა და ურჩია, დღესვე ამოირჩიოს რამდენიმე კაცი კომიტეტის დასაარსებლად, რომელმაც თხუთმეტ თებერვლისათვის უნდა გამოარკვიოს, რა გვარად შეიძლება ხოლერასთან ბრძოლა; აგრეთვე ამოირჩიოს რამდენიმე კაცი შესადგენად კომისიისა, რომელმაც უნდა იმავე დროისათვის გააწეროს და შეჰკრიბოს კიდეც ხოლერასთან საბრძოლველად საჭირო ფული, სამასი თუმანი; ეს ფული კომისიამ უნდა შეინახოს ხაზინაში და საჭიროების გვარად აძლიოს კომიტეტსა. თანახმად ამა სარჩიელისა, წინადვე დამზადებული განაჩენი წაკითხულ იქმნა. კრებამ აირჩია ათი კაცი კომიტეტისა და თერთმეტი კომისიის წევრებად, ამ საკითხის გამო კიდევ განმეორებით გამოითქვა სურვილი, რომ ყველა თელავის მცხოვრებელმა, გაურჩევლად წოდებისა, მიიღოს საჭირო ხარჯში მონაწილეობა ხოლერასთან საბრძოლველად.

მერე ლაპარაკი დაიწყეს „ბატონის წყარო-ს“ გაუქმების შესახებ. „ბატონის წყარო“ ერთად ერთი დიდი წყაროა თელავში. ამას წინად თელავის სამხედრო ექიმს ბ-ნ ვასილევს ამ წყაროს წყალი, კიდევ ესრედ წოდებულის „თეთრიანის“ წყალი და დრუჟინისათვის ახლად გამოყვანილ წყალიდამ თვითო ბოთლი გაუგზავნია ტფილისს სამხედრო სამკურნალოს ლაბორატორიაში შესამოწმებლად. შემმოწმებელთ „ბატონის წყაროს“ წყალი უცვნიათ უვარგისად, რადგანაც შიგ აღმოუჩენიათ ორგანიული გახრწნილი ნაწილები, ორი სხვა წყარო-კი მოუწონებიათ. ამაზე შეუდგენიათ ოქმი და გამოუგზავნიათ ბ-ნ ვასილიევისათვის. ამ უკანასკნელს ოქმის ასლი მაზრის უფროსისათვის გაუგზავნია. ამის გამო მაზრის უფროსი თხოულობდა წყაროს გაკეთებას, ან გაუქმებას. გამოითქვა აზრი, რომ ეს საკითხი გადაეცეს ხოლერასთან საბრძოლველად ამორჩეულ კომიტეტს, რომელმაც ღონისძიებათა გამოძებნის დროს ძალა-უნებურად უნდა უწინარეს ყოვლისა მიაქციოს ყურადღება სასმელ წყალს; კომიტეტი ვერას გზით ვერ აუქცევს გზას თელავის წყაროების ავ-კარგიანობას, რადგანაც მეცნიერთაგან ერთხმად აღიარებულია, რომ წყალით უფრო ვრცელდება ხოლერის ბაცილები; იქმნება სხვა წყაროები უფრო გაფუჭებული იყოს და კომიტეტმა დროებით სხვა წყაროებიც დაჰკეტოს, ვიდრე რიგიანად არ გააკეთებს, რომ საეჭვო აღარა იყოს-რა. ეს მოსაზრება მაზრის უფროსმა არ შეიწყნარა, რადგანაც „ბატონი წყარო“-ს გამო ოქმი უკვე შემდგარი იყო, და ამიტომ მოსთხოვა კრებას, აღმოერჩია რამდენიმე კაცი, რომელთაც უნდა წყარო წესისამებრ გამოიყვანონ, ახალი მილი დააწყონ, ან სულაც გააუქმონ. კრებამ ეს რჩევაც შეიწყნარა.

მესამე საკითხი გახლდათ ახალ საქალაქო დებულების შემოღება. ამ ახალ დებულების შემოღების სურვილი წარსულ ყრილობაზედაც ერთხმად გამოაცხადა თელავის საზოგადოებამ და ახლაც ამავე აზრს დაადგა, რომ თელავში შემოღებულ იქმნას ახალი საქალაქო დებულება შემოკლებულის ხასიათისა. მაზრის უფროსმა განუმარტა კრებას, რომ მისი შუამდგომლობა მთავრობასთან უფრო მტკიცედ უნდა იყოს დასაბუთებული და ძალიან კარგი იქმნება, თუ ყრილობა შეადგენს განაჩენს, რომლითაც კისრულობს ხარჯს, საქალაქო დებულების შემოღებისაგან გამოწვეულს, უკეთუ ქალაქის ეხლანდელი შემოსავალი ვერ დაჰფარავს. ამ სარჩიელის გამო დიდი კამათობა გაიმართა, რომელიც საყურადღებოა და ამიტომ გამოთქმულს აზრს მოკლედ აღვნიშნავ. ერთმა მოქალაქემ სთხოვა მაზრის უფროსს, რომ იმას ყრილობისათვის ეცნობებინა თვისი აზრი საქალაქო დებულების იმ ცვლილებათა შესახებ, რომელნიც მას მიაჩნია თელავისათვის სასარგებლოდ. მაზრის უფროსმა უთხრა, მე კერძო აზრსა მთხოვთ და არა ვარ მოვალე კრებას განვუზიარო იგიო. მოქალაქემ განაგრძო: საჭიროა გამოითქვას, რა ცვლილება მოხდება დებულებაში, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იკისრებს კრება ხარჯს, ამ დებულებით გამოწვეულსაო. მაზრის უფროსი არწმუნებდა, რომ ყრილობის ნებაა ხარჯს იკისრებს, თუ არა, დღევანდელ განაჩენით, და დებულების შემოღება-კი მთავრობას კრების დაუკითხავადაც შეუძლიანო. ქალაქის დებულება ჩვენთვის ახალი საქმეა და ჩემი კერძო სურვილია, რომ პირველ ოთხ წელიწადს მაინც ქალაქის მართვა, რაც შეიძლება, განვითარებულ პირებს ჩავუვარდეთ ხელში, და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, იმ წოდებათაც თავ-თავისი წარმომადგენელი ჰყავდეთ საქალაქო საბჭოში, რომელთა რიცხვიც მეტად მცირეა შედარებით მოვაჭრეთა რიცხვთან, რომ ქალაქის განმგებლობა მარტო ვაჭართ არ იგდონ ხელთაო *). მოქალაქემ უპასუხა, რომ ეგ საქალაქო დებულებით მონიჭებულ უფლების შემცირებაა და უსამართლობაც იქმნება, რადგანაც დებულებაში კარგად არის აღნიშნული, ვისაც ნება აქვს, კენჭი იქონიოსო.

ვინც არ იცის ჩვენის თელავის მცხოვრებთა ვითარება და წოდებათა რაოდენობა, ის მაზრის უფროსის სურვილს, ანუ აზრს,—რომ მცირე რიცხოვან წოდებადაც თავ-თავისი წარმომადგენელი ჰყავდეთ, უკულმართობის სურვილად ჩასთვლის. მართალია, თუ საქალაქო დებულებაში შეიტანეს მოხსენებული ცვლილება, ცოტათი იმავე დებულებით მინიჭებულ უფლების შემცირება იქმნება ზოგ ერისათვის და განა ამისთანა უფლების შემცირება ყოველთვის საზარალოა? ვიტყვი ერთს მაგალითს. ევროპაში, სადაც პიროვნებითი უფლება უფრო ვრცელია და პატივცემულია, დღეს არის ამ უფლებასთან ერთად დაკანონებული, რომ ყველა კაცმა თავის შვილებს უნდა სწავლა მიაღებინოს; გლეხი ვალდებულია შვილი სოფლის სკოლაში მიაბაროს, ძალიანაც-რომ არ უნდოდეს ან გარემოება ნებას არ აძლევდეს. რაზეა ახლა ეს დამყარებული, რომ პიროვნულ უფლებას არ უშლის? საზოგადო სიკეთეზე. თუ-კი მცირეოდენ უფლების შემცირებას მიზეზად საყოველთაო სიკეთე ექმნება, განა ამისთანა უფლების შემცირება სასურველი არ არის? ექიმის რჩევა, რომელმაც კარგად იცის სხეულის აგებულება, და მავნე სასმელ-საჭმლის აკრძალვა ავადმყოფისათვის უფლების შემცირებაა, თუ პირიქით მადლობის ღირსია? მე არც ალაგმვის მომხრე ვარ, მაგრამ არც გადაჭარბებული ლაგმის მიშვებაა სანატრელი! ამისთანა შემთხვევაში მუდამ ერთი არსენას ადლია, რომლითაც უნდა გაიზომოს მოქმედება ყველასი ერთად და თვითეულისა—ცალკე. ეს ადლი გახლავთ საყოველთაო კეთილი დღეობა. რაც ამ ადლის ზომაში მოვა, ყველა კარგია, რაც არ მოვა ზომაში, ის, თავის-თავად კარგიც რომ იყოს, ჩვენთვის უსარგებლო და მაზარალებელი იქმნება. იცოდეთ, თელაველებო, რომ ბევრმა რუსეთის ქალაქებმა გამოსცადა, რამდენადაც ძნელია გასწორება იმ შეცდომებისა, რომლებიც საქმის უცოდინარობისაგან და მომატებულად ხმოსანთა უმეცრებისაგან წარმოსდგა. თქვენ გეუბნებიან, ისევ თქვენი ძმა იყოს თქვენის საქმის გამგებლად და არა სხვაო; თქვენც უთხარით, ჩვენი ძმა ის იქმნება ვინც ჩვენს საქმეს კარგად და საყოველთაო სასარგებლოდ განაგებსთქო. აქამდისაც გვყავდნენ ჩვენი უფროსი ძმები გამგებლებად და დღეს თელავს ორმოცი ათასი მანეთი მეტი ვალი ჰმართებს ხაზინისა, თუმცა კი ყოველ წლივ გარდამეტებით ვიხდით ხარჯს, ვიდრე ხარჯთა სიაში იყო ხოლმე მოხსენებული. საუფროსოსაც ვიხდიდით, საუმცროსოსაც და მაინც ვერც ვალი გავისტუმრეთ და არა აბადია-რა ჩვენს დაჩაგრულს თელავსა-თქო.

ნადიკვრელი.

---

*) ავი ენები ამბობენ, რომ ეს კამათობა და თვით ამ აზრის გამჟღავნება ხრიკად არის მიგონილი, რომ დებულებამ გზა აუქციოს თელავსაო. მე არა მჯერა. ნად.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის დეპუტატთა პალატის უკანასკნელი კრება დიდად ღირს-შესანიშნავი იყო. ამ კრებაზედ წარმოსთქვა სიტყვა დეპუტატმა კავენიაკმა. კავენიაკის სიტყვამ დიდად აღელვა მთელი პალატა. კავენიაკმა სთქვა, სხვათა შორის, რომ საფრანგეთის მთავრობამ ღირსეულად არ დააბოლოვა პანამის საქმე და შუა გზაზედ გაჩერდაო. საჭირო იყო, გამოაშკარავებულიყო რუვიესი და ფლოკეს უმართებულო საქციელი პანამის საქმეშიო. იუსტიციის მინისტრმა უპასუხა, მთავრობამ თავისი საქმე აასრულა, დამნაშავენი სასამართლოს გადასცა და ეხლა ჩვენ ხელი დაგვიბანიაო. ამას მთელი პალატა არ ეთანხმებოდა და კავანიაკმა მხოლოდ უმრავლესობის აზრი გამოთქვა და სწორედ ამიტომ მიიპყრო მთელი პალატის ყურადღება და თანაგრძნობა. კავენიაკმა უსაყვედურა რიბოსა და ბურჟუას, რუვიესი და ფლოკეს უსამართლო მოქმედება უყურადღებოდ რად დასტოვეთო. ამაზედ ვერც რიბომა და ვერც ბურჟუამ ვერა უპასუხეს-რა, რადგანაც მთელი პალატა დარწმუნებული იყო, რომ კავენიაკს, როგორც ცნობილს პატიოსანს და მიუდგომელს კაცს, ის განზრახვა არა ჰქონდა, აწინდელი კაბინეტი გაეკიცხა და მხოლოდ სცდილობდა გამოეაშკარავებინა წინაშე პალატისა, რომ პანამის საქმეში ყველა დამნაშავენი ღირსეულად არ დაისაჯნენ და ამიტომ საჭიროა, ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთო. თითქმის მთელი პალატა მიემხრო კავენიაკს და საფიქრებელია, რომ დღეს თუ ხვალ რიბოს კაბინეტი დაემხობა და შესდგება ახალი კაბინეტი.

რიბოს ალაგას იმავე კავენიაკს ასახელებენ და იმედი აქვთ, რომ ახალი კაბინეტი ისეთის კაცის მეთაურობით, როგორიც არის კავენიაკი, სრულიად დააბოლოვებს პანამის საქმეს.

**ინგლისი.** პალატამ განიხილა აზრი შესახებ იმისა, რომ ხელი შეუშალოთ ინგლისში შეუძლებელ მუშების გადმოსახლებასაო. გლადსტონი წინააღმდეგი იყო ამ აზრისა და სთქვა, დიდი უსამართლობა იქნება, ინგლისიდგან გავაძევოთ ღარიბი ხალხი, რომელიც თავისის შრომით სცხოვრობსო. მთავრობის სურვილია, ერთგვარად მოეკიდოს ყველა ინგლისში გადმოსახლებულთ. პალატის უმრავლესობა გლადსტონის აზრს მიემხრო.

**გერმანია.** ამბობენ, რომ გერმანიას ჯერ სრულიად არ შეუმუშავებია რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულობის პროექტი და ამ საქმის შესახებ რუსეთისთვის ჯერ არაფერი შეუტყობინებიაო.

# დეპეშა

10 თებერვალი

**პარიჟი.** იმ მოწმეთა შორის, რომელთაც ჩვენებას ჩამოართმევენ დაქრთამვის საქმის გამო, პრეზიდენტი კარნოც დასახელებულია. თუ პრეზიდენტს უწყება გაეგზავნა, ელისეის სასახლეში კარნოს ეწვევა სასამართლოს პრეზიდენტი მდივნითურთ ჩვენების ჩამოსართმევად.

რუსეთში დაბრუნებამდე სტატს სეკრეტარი გირსი ფლორენციას წავა, იქავე გაემგზავრება ბარონი მორენჰეიმი.

**ვენა.** ლვოვიდგან იუწყებიან, რომ პაპის იუბილეის გამო დღესასწაული გაიმართა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთავრობის წარმომადგენელთაც. რუსეთის სტუდენტებმა დემონსტრაცია მოახდინეს პაპისა, მიტროპოლიტის სემბრატოვიჩისა და პროფესორის სარანევიჩის წინააღმდეგ. დემონსტრაცია გამოიწვია სარანევიჩის სიტყვამ, რომელმაც პაპს დიდი ქება შეასხა, როგორც მფარველს არა მარტო კათოლიკეთა სარწმუნოებისა, არამედ მართლ-მადიდებელთაცა. გალერეიაში მყოფ ხალხში დიდი ჩოჩქოლი ასტყდა და იძახდნენ: „ტუშემპიო“. ეს სახელი ეწოდება აღმოსავლეთ გალიციის იმ მხარეს, რომელმაც პაპის კურთხევით მართლ-მადიდებლობა უარ-ჰყო და კათოლიკეთა სარწმუნოება აღიარა; ამ ამბავმა მაშინ დიდად აღელვა რუსეთის ხალხი. გალერეიაზე გაჩნდნენ პოლიციელნი და უწესოებას ბოლო მოუღეს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,54 | 7,57 | — „ |
| ტფილისის კუპონები . | 151 | 151 3/4 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 240 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 227 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 195 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 1/4 | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

· საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—14)

დაიბეჭდა და იყიდება
ტფილისსა და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში
წიგნი:

## თამარ მეფე
(1184—1213)

შედგენილი
დ. კარიჭაშვილის მიერ
ფასი სამი შაური

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (36—23)

## ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქ. ტფილისში.

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა, მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოვანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, ვარვაროვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაკაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბუღდანოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარ სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრედვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად. (10—2)



## VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)
Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)
საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.
უპელაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**იყიდება** საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—39)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Февраля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.